ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ. ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05

15 ოქტომბერი 2014 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა №102

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ”-ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[1] მუხლის თანახმად

საკრებულომ დაადგინა:

1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ” - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად.

2. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ”- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106[2] მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4–ში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ზაალ მამალაძე

პროექტი

დადგენილება

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტების და 53-ე მუხლის, ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 20-ე, 23-ე მუხლების და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 29 სექტემბრის N576 დადგენილების, ,,ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების თაობაზე“ - საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 29 აგვისტოს N726 ბრძანებულების თანახმად“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები, თანახმად დანართი 1-ისა (თან ერთვის).

მუხლი 2.

დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო-სამაშველო სამსახურის საჯარო მოსამსახურეების თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები, თანახმად დანართი 2-ისა (თან ერთვის).

მუხლი 3.

ძალადაკარგულად ჩაითვალოს ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ”- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 იანვრის N4 დადგენილება.

მუხლი 4.

დადგენილება ამოქმედდეს 01 ნოემბრიდან.

პროექტის ავტორი – ბექა შენგელია

დანართი 1

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეების თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები

№	თანამდებობათა რანგი	თანამდებობათა დასახელება	თანამდებობრივი სარგო
	1	2	3
1	მთავარი საჯარო თანამდებობა	გამგებელი	2650
2		გამგებლის პირველი მოადგილე	1500
3		გამგებლის მოადგილე	1300
4	წამყვანი საჯარო თანამდებობა	სამსახურის უფროსი	1000
5	უფროსი საჯარო თანამდებობა	გამგებლის წარმომადგენელი	810
6		გამგებლის თანაშემწე	790
5		განყოფილების უფროსი	810
6		მთავარი სპეციალისტი	810
7	უმცროსი საჯარო თანამდებობა	სპეციალისტი	560
8		მდივან- რეფერენტი	560

დანართი 2

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო-სამაშველო სამსახურის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები

№	თანამდებობათა დასახელება	თანამდებობრივი სარგო
1	2	3
1	სამსახურის უფროსი	1000
2	სამსახურის უფროსის მოადგილე	560
3	მთავარი სპეციალისტი (სახანძრო ზედამხედველობის ინსპექტორი)	500
4	მთავარი სპეციალისტი (მორიგე ცვლის უფროსი)	530
6	სპეციალისტი (მეხანძრე-მაშველი)	475
7	სპეციალისტი (მძღოლი)	475
8	სპეციალისტი (დისპეტჩერი)	300